



# ყვარლის

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 80 თეთრი

8 მარტს გილოცავთ, ძვირფასო მანდილოსნებო!



## რატომ აღინიშნება 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღე?!

ქალთა საერთაშორისო დღე – ყოველი წლის 8 მარტს აღინიშნება. ეს არის დღე ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნისა. პირველად ეს დღე 1909 წლის 28 თებერვალს აღინიშნა, შემდგომში უმთავრესი მოვლენა რომელმაც ეს დღე საყოველთაოდ ცნობილი გახადა, იყო ნიუ-იორკში მომხდარი ხანძარი, რომელიც საფეიქრო ქარხანა „ტრაიენგლ შირტფეისტ“-ს გაუჩნდა, ხანძარმა 140 აქ მომუშავე ქალის სიცოცხლე შეინარა (სტატისტიკის თან ერთვის ამ საშინელი დღის ფოტოები). 1853 წლის 8 მარტს სამკერვალო ქარხნის მუშა ქალები გაიფიცნენ, გაუსაძლისი პირობების გამო, უკმაყოფილებად მიითადდა მწირი ხელფასით იყო გამოწვეული. მათი მოთხოვნა სამუშაო პირობების გაუმჯობესება იყო, ისინი დარბუჯი იქნენ პოლიციის მიერ. სწორედ ამ ქალებმა დაარსეს პირველი პროფკავშირი. 1910 წელს ქალქ კომპუტაგეში ჩატარდა ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, ამ კონფერენციაზე დაფუძნდა

ქალთა საერთაშორისო დღე სოციალისტი „კლარა ცეტკინის“ მიერ. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას 1913 წლის 8 მარტს ქალები მშვიდობიან მსვლელობებს აწყობდნენ. სწორედ ქალთა გამოსვლები გახდა რუსეთის 1917 წლის რევოლუციის გამომწვევი მიზეზი. 1965 წლის 8 მაისს სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით ქალთა დღე უქმე დღედ გამოცხადდა. საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ეს დღე დღემდე უქმე დღედ რჩება, მათ შორის საქართველოშიც. 1975 წელი რომელიც ქალთა საერთაშორისო წლად გამოცხადდა, გაერომ ოფიციალური სანქცია გასცა ამ დღის სპონსორობისთვის. 2005 წელს ბრიტანეთის პროფკავშირების გაერთიანების კონგრესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი ქალთა დღის სახალხო დღესასწაულად გამოცხადებას. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ერთხმად უჭერს მხარს ქალთა საერთაშორისო დღეს.

## ყვარლის „იონი-კახეთის“ ლაბორატორიის პრეზენტაცია გაიმართა

შაბათს, 18 თებერვალს, ქ. ყვარელში, ჭაჭაჭაძის ქუჩაზე, I საჯარო სკოლის წინ სამედიცინო ცენტრ „კახეთი-იონის“ ლაბორატორიის გახსნის ცერემონიალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა, სამედიცინო ცენტრის „კახეთი-იონის“ გენერალურმა დირექტორმა ნარგიზ ზიზიბაძემ, „კახეთი-იონის“ გამგეობის ვიცეპრეზიდენტმა და ექიმ-ლაბორანტმა უაკ სიზმარმა, „კახეთი-იონის“ დინამურ-ადმინისტრაციულმა მენეჯერმა თამარ ცანკაშვილმა და ამავე დაწესებულების ექიმებმა. ლაბორატორიის ხელმძღვანელის თამარ ხუტილაშვილის და ლაბორანტის ნინო კანდელაკის განმარტებით პაციენტებს

საშუალება ეძლევათ ქ. გურჯაანში ნაუსკლეად ნებისმიერი სახის ანალიზი აიღონ და მიიღონ საჭირო კონსულტაციები. ლაბორატორიაში უფასოდ მოხდება: 1. სარძევე ჯირკვლის სკრინინგული გამოკვლევები 40 დან 70 წლის ასაკის ჩათვლით; 2. საშვილოსნოს ყელის სკრინინგული გამოკვლევები 25 დან 60 წლის ასაკის ჩათვლით; 3. მსხვილი ნაწლავის სკრინინგული გამოკვლევები 50 დან 70 წლის ასაკის ჩათვლით; ასევე კეთდება სისხლის და შაქრის საერთო ანალიზები, რომლებზეც შედარებით მიზერული ღირებულება იქნება გადასახდელი.

ალექსანდრა გიგილოძე



## ილიას მუშაობის ქალაქს შესანიშნავი დასვენების პარკი და ახალი საბავშვო ბაღი შეემატა

გაზაფხულის პირველი დღე სიურპრიზებით დატვირთული აღმოჩნდა ყვარელელებისთვის. დღის სამი საათისთვის ე.წ. „შინმოუსვლელთა პარკში“ უამრავი ადამიანი შეიკრიბა. განახლებული და გალამაზებული დასვენების პარკი და ახალი საბავშვო ბაღი საზეიმო ვითარებაში ოფიციალურად გახსნეს კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდიაშვილმა.



საზეიმო ღონისძიებებს დაესწრნენ კახეთის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი, კახეთის გუბერნიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი მალხაზ ჭრელაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები – ქეთი ზაუტაშვილი და მალხაზ ხიზანიშვილი, გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები, აიპებისა და შეზღუდული პასუხისმგებელ სანარმოთა ხელმძღვანელები, საჯარო სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლები და მოსწავლეები.

საზეიმო ღონისძიებების შემდგომ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხსენებითა დარბაზში გაიმართა

კახეთის გუბერნატორმა დანერგვით გამოიკითხა ბიუჯეტის შევსების წყაროები და ყურადღება გაამახვილა ქონების, განსაკუთრებით მიწიდან შემოსულ გადასახადებზე და აქვე მიანიშნა, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ არ

სისუფთავის დაცვა თქვენი განსაკუთრებული მოვალეობაა ხაზი გაუსვა თავის გამოთქმულ მოსაზრებებში კახეთის გუბერნატორმა, იმედა გახსნილ დასვენების პარკს სანიმუშოდ მოუვლით, ვინაიდან ის თქვენი ქალაქის შემოსაველში მდებარეობს და ქალაქის საეკონომიკური ბარათს წარმოადგენს. ისტორიული ძეგლებით, მევენახეობით, ბუნებრივი ლანდშაფტით ძალიან მდიდარია თქვენი რაიონი, მაგრამ „დოლოჟოპში“ აღმოჩენილი ადრინდელი ქრისტიანული ეკლესია შესანიშნავ ტურისტულ ობიექტად შეგიძლიათ აქციოთ – თქვა ბატონმა ირაკლი ქადაგიშვილმა. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში საცალფეხო ბილიკი გაკეთდეს და „ილიას ტბაზე“ მომსვლელ უამრავ ადამიანებს საშუალება ჰქონდეთ მოინახულონ ეკლესია. ეს ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს. კახეთის გუბერნატორი დანიტერესდა ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობით, მეძროხეობის უნიკალურ ფერმებში მიმდინარე პროცესებით, ენისლის პროფტექნიკური სასწავლებლის რეაბილიტაციის თემით და სხვა საკითხებით. დასასრულს გუბერნატორმა მოითხოვა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, გამგეობის სამსახურებმა უნდა გაააქტიუროთ მუშაობა, რათა ახალი ობიექტების ამოქმედებით შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილები და ბიუჯეტში შემოსულობები გაიზარდოს.

ალექსანდრა გიგილოძე



თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ გამგეობის თანამშრომლები, აიპებისა და შეზღუდული პასუხისმგებელ სანარმოთა ხელმძღვანელები. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, მან გაზაფხულის დადგომა და ახალი ობიექტების გახსნა მიულოცა ყვარელელებს. შემდეგ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელთა ანგარიშები მოისმინა გასულ წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სეობს სოლიდური რესურსი ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდისათვის და ამ პრობლემის მოგვარება დაუსახა მიზნად გამგეობის შესაბამის სამსახურებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ბიუჯეტის შესრულების პარამეტრებზე და საფინანსო საქმიანობის შედეგებზე ვრცლად ილაპარაკა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა დავით ქანდაღურიშვილმა. საკურატორო დარგებში მიმდინარე საქმიანობაზე ინფორმაციები წარმოადგინეს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელებმა – თეიმურაზ კოკორაშვილმა, ოთარ დავითაშვილმა, მია ავაზაშვილმა, აქაიპ სასპორტო სკოლის დირექტორმა ლევან მირინაშვილმა და აქაიპ „ილიას ტბის“ დირექტორმა მალხაზ ხაზარაშვილმა.









# უახლოეს მომავალში გაცხოვროთ გამთლიანებულ და გაღწიერ საქართველოში

გაზეთ „ყვარლის“ რედაქცია ყოველთვის ცდილობს ქალთა საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით ისეთი რესპოდენტები შეარჩიოს, რომელნიც განსაკუთრებული თავგანსირებით იღვწოდნენ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობისა და ერის მომავალი კეთილდღეობისათვის. დიხაბაც, ასეთი ადამიანები ჩრდილში არ უნდა მოექცნენ, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ გაჭირვებისა და გაუსაძლისი ცხოვრების მიუხედავად როგორ გადალახეს უამრავი დაბრკოლებები და მიადნენ ისეთ მდგომარეობას, საიდანაც შეძლეს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეები ეკეთებინათ.

სარედაქციო ნომრისათვის შევარჩიეთ ქალბატონი, რომელმაც ათეული წლები ყვარლის რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ზრუნვას მიახლოებდა, საკუთარ ბედისწერაზე კი, რომელსაც ოჯახის შექმნა ჰქვია, მოუცვლელი გამო არ უფიქრობდა. სამაგიეროდ, მან ბედნიერება მისი შვილებში ჰპოვა და მათთვის დედობრივი მზრუნველობა დღევანდლამდის არ დაუკვლია.

სამაგალითო მუშაობისთვის მას მიღებული აქვს წარჩინებული ფინანსისტის, დამსახურებული ეკონომისტის ნოდებები და ღირსების ორდენი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საყვარელ პიროვნებას, ქალბატონ მინერა ძარინაშვილს ვთხოვ გამოენახა დრო და კითხვებზე გაეცა პასუხები.

**– ქალბატონი ვენერა, როგორი განსხვავებაა დღევანდელ და გასული საუკუნის ყვარელს შორის?**

– რა თქმა უნდა განსხვავება არის და ასეც უნდა იყოს, რადგან გასული საუკუნის ბოლოს არსებული მდგომარეობა ხელს უშლიდა არა მარტო რაიონის, არამედ მთელი საქართველოს წინსვლასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. დღეს უფრო მეტი შესაძლებლობა წინა წლებში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რადგანაც ჩვენ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ვცხოვრობთ.

**– გაკმაყოფილებდათ თუ არა კომუნისტური ყოფის წესი, რომელშიც მრავალი წელი მოგინათ ცხოვრება, თუ გიფიქრიათ მის შეცვლაზე?**

– კომუნისტურ წყობასაც იმ დროისათვის ჰქონდა დადებითი მხარეები. მაგრამ, დღეს როცა დამოუკიდებელ საქართველოში ვცხოვრობთ და უკეთესი შესაძლებლობაა ქვეყნის განვითარებისათვის და მოსახლეობის ცხოვრე-

– ყვარლის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა გაავარდელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიური ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობაზე, რომელიც დავამთავრე 1955 წელს. მაშინ უნივერსიტეტის მიერ კურსდამთავრებულთა განაწილება ხდებოდა სხვადასხვა რაიონებსა და დაწესებულებებში. მე როგორც ყვარელი, განაწილებით გამომიწვეს ჩემს რაიონში. სწორედ ამ განაწილების საფუძველზე მაშინდელი საფინანსო განყოფილების გამგის, ბატონ გიორგი კანანაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, როგორც ფინანსისტი, დავინიშნე ამ განყოფილებაში ყველაზე დაბალ მოანგარიშის თანამდებობაზე.

**– საფინანსო განყოფილების გამგე, ბატონი გიორგი კანანაძე მეტად მკაცრი და მომთხოვნი პიროვნება ბრძანდებოდა, როგორ შეეგუეთ მასთან მუშაობას და რა დადებითი გავლენა მოახდინა თქვენს მომავალზე?**

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბა-

ერთად იყო კეთილსინდისიერი, საქმის მცოდნე, პატიოსანი და დიდად განათლებული ადამიანი. მას უყვარდა საქმიანობა ერთგულ ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობა. იგი ხელს უწყობდა მათ შემდგომ დაწინაურებას, ვისაც მუშაობა უყვარდა და კარგად ეუფლებოდა საფინანსო სისტემას.

თავს არ ვიქებ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მან დაინახა ჩემი განათლება, ცოდნა, ჩემზე დაკისრებული საქმიანობის კეთილსინდისიერად შესრულება და ხელი შემიწყო შემდგომში თანამდებობის შეცვლასა და დაწინაურებაში, მოანგარიშის თანამდებობიდან დაწყებული ვიმუშავე საბიუჯეტო ინსპექციის ინსპექტორად, განყოფილების მთავარ ბუღალტრად, განყოფილების გამგის, ბატონ გიორგი კანანაძის მოადგილედ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დავინიშნე განყოფილების გამგის თანამდებობაზე, რომელსაც ვხელმძღვანელობდი 29 წლის განმავლობაში.

მე ძალიან კმაყოფილი ვარ ბატონ გიორგისთან მუშაობით, რადგან მან დიდი წვლილი შეიტანა ჩემს აღზრდასა და მაღალი საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებაში და რაც მთავარია სრულიად ახალგაზრდა გამარკვია საფინანსო საქმიანობაში.

საფინანსო განყოფილება დავტოვე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.

**– ათეული წლები რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი ბრძანდებოდით, თუ ხართ კმაყოფილი განუხილავი საქმიანობით და რა გაცდებდა ვერ მოასწარი?**

– 29 წელი ვიმუშავე რაიონის საფინანსო განყოფილების გამგედ. რა თქმა უნდა, არც ისე იოლი იყო ამდენი წელი იმუშაო აღნიშნულ თანამდებობაზე, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბატონ გიორგი კანანაძისთან მუშაობამ დიდი გამოცდილება შემძინა, რათა საქმე ერთგულად და კეთილსინდისიერად შემსრულებინა. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ ჩემი საქმიანობით.

ვერ მოვასწარი ჩემი იმ მიზნის განხორციელება, რათა საბიუჯეტო დაწესებულების მუშაკთათვის ხელფასების მომემატებინა, თუმცა ამის შესაძლებლობა არ იყო შემოსავლების არ ქონის და ფინანსური სიმძნელების გამო.

**– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებლობის პირველ წლებში ეკონომიკური კრიზისი მძვირვარებად ჩვენს ქვეყანაში და მიზერული ოდენობის ხელფასების გაცემაზე კი უკიდურესად გართულებული იყო, მიუხედავად ამისა, თქვენ როგორც საფინანსო განყოფილების**

**ხელმძღვანელი, ისე არგულირებდით ბიუჯეტიდან შემოსავლებს, რომ დაწესებულება – ორგანიზაციის თანამშრომლები ყოველთვის იღებდნენ კუთვნილ შრომის ანაზღაურებებს, როგორ ახერხებდით?**

– დიდი მნიშვნელობა ქონდა რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სწორად და დასაბუთებულად შედგენას, შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტად განსაზღვრას, რადგანაც აღნიშნულზე იყო დამოკიდებული საქართველოს ფინანსთა საკომისიტროდან დამატებითი თანხების (ტრანსფერი) მიღება. რაც უფრო ზუსტად იყო შედგენილი ბიუჯეტი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნებო-

და მათი დიდი წვლილის აღსანიშნავად იმართებდა შეხვედრები და კულტურული ღონისძიებები.

ამასთან ერთად, ხდებოდა მათთვის საჩუქრების გადაცემა. პრესის საშუალებით მათი ღვაწლის და დამსახურების, შრომაში მიღწეული წარმატებების აღნიშვნა.

**– თქვენი პირველი დიდი სიხარული და პირველი ტკივილი, რომელთაც ცხოვრება სულ სხვა კუთხით დაგანახევს?**

– ჩემი განვლილი ცხოვრების მანძილზე ბევრჯერ მქონია სიხარული, მაგრამ პირველი სიხარული იყო როდესაც სკოლის მერხიდან ამდგარი ვო-



ბის ღონის ამაღლებაც გარდაუვალია, რა თქმა უნდა უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, რადგანაც წარსულს ჩაბარდა და აღარ არის უმუქობა, უგაზობა და გაუსაძლისი ეკონომიკური გაჭირვება.

**– რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეთ და რამ გიბიძგათ მუშაობა დაგვეყოთ საფინანსო განყოფილებაში?**

ბატონი გიორგი კანანაძის მიერ შემოთავაზებულ თანამდებობაზე (მოანგარიშე) არ ვთქვი უარი და ამგვარად მოვეხდი მასთან სამუშაოდ.

ბატონი გიორგი კანანაძე მართალია მკაცრი და მომთხოვნი იყო, მაგრამ არ გამჭირვებია მასთან მუშაობა და კმაყოფილიც ვიყავი, რადგან იგი სიმკაცრესა და მომთხოვნელობასთან

და თანხების დამატებითი მოთხოვნისათვის.

სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ფერხდებოდა ხელფასების დროული გაცემა, მაგრამ ყოველგვარ ღონისძიებას ვატარებდით მის გამოსასწორებლად. რა თქმა უნდა, ამ საკითხის მოგვარებაში რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ვმუშაობდი.

**– რომ შეიძლება იყოს სასიხარულო და დასამახსოვრებელი?**

– თითქმის ყველა 8 მარტის მობრძანება იყო სასიხარულო, რადგანაც ყოველთვის სადღესასწაულო ელფერი ეძლეოდა ჩატარებულ ღონისძიებებს.

არ შემიძლია რომელიმე 8 მარტის გამოყოფა ცალკე.

**– როგორი ღონისძიებები იმართებოდა რაიონის სახელოვანი ქალების შრომის დაფასებისთვის?**

– რაიონში ჩამოყალიბებული იყო ქალთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეც ბრძანდებოდა ქალბატონი ძაბული სილაგაძე. მისი მონდომებით და რაიონის ხელმძღვანელთა დახმარებით რაიონის სახელოვანი ქალების და მრავალშვილიანი დედების პატივსაცემად

გონა მისაღებ გამოცდებზე მიღებული უმაღლესი ნიშნებით იმ დღე სახელოვან სასწავლებელში მოვეხდი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია, შემდგომ სამსახურის დაწყება და ის წარმატებები, რომელსაც ჩემი მუშაობის პერიოდში მივაღწიე.

ყველაზე დიდი სიხარული მაშინ განვიცადე, როცა ჩემმა მისიშვილებმა - ზაზამ სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო გელამ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები.

**– რაზე გწყნებთ გული?**

– მართალია საპენსიო ასაკის ვიყავი, მაგრამ მაინც დამეხდა გული სამსახურიდან რომ წამოვედი.

**– თქვენი სარედაქციო სურვილები!**

– ძვირფასო ქალბატონებო, გულწრფელად მოგლოცავთ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს 8 მარტს. გისურვებთ ცხოვრება გქონდეთ ბედნიერი, იყავით ჯანმრთელი, მხიარული, სიკეთე და სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამდევნი.

უახლოეს მომავალში გეცხოვროთ გამთლიანებულ და ბედნიერ საქართველოში.

**– გამაღობთ ქალბატონი ვენერა, გულახდილი საუბრისთვის. გილოცავთ დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენს ახლობლებთან ერთად ბედნიერ მომავალს.**

ესაუბრა  
**ალექსანდრა გიგილიძე**























# ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

3/2/2017 kancelaria.cloud.gov.ge/nom/files/...  
 ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა  
 № 188 02 / მარტი / 2017 წ.  
 ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

- გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).
- დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.
- აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საფუძველი: „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარეგლმობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი; 61-ე მუხლის მეხამე პუნქტის "ა." ქვეპუნქტი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია მუხეშელაშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია: მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

- სააუქციონო პირობები:
  - მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემქმნელმა იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
  - აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:
    - განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;
    - „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);
    - აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563313.
    - პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
    - ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
    - ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
- მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.
- აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.
- თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო საფასური, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.
- გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების შესაბამისად.
- აუქციონი ტარდება 2017 წლის 11 აპრილს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2017 წლის 13 მარტიდან 11 აპრილის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1
- დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 595 903 322; 599 855 966; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	არასასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. №69-ში მდებარე ყოფ. სავაჭრო ცენტრი	2998	1) 3445; 2) 429; 3) 30;	57.06.56.133	400000	80000	20000	50
2.	ქ. ყვარელი, სააკაძის ქ. №2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული	წილობრივად	468,4	57.06.59.080.01.501	22588	4518	1130	50
3.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	735	-	57.06.68.649	1205	241	61	50
4.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	670	-	57.06.68.653	1010	202	51	50
5.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	775	-	57.06.68.652	1325	265	67	50
6.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774	-	57.06.68.651	1322	264	66	50
7.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774	-	57.06.68.650	1322	264	66	50
8.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	655	-	57.06.68.644	965	193	49	50
9.	სოფ. შინობიანის ყოფ. სასურსათო მაღაზია	402	212,1	57.03.54.010	12 000	2400	600	50
10.	ს. შილდის მუსიკალური სკოლა	2060	-	57.07.57.072	33 600	6720	1680	50
11.	ს. საბუე	2234	-	57.09.57.121	10 000	2000	500	50
12.	ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. №160	წილობრივად	111,5	57.06.57.049.01.505	10035	2007	502	50
13.	ქ. ყვარელი სარიტუალო მომსახურების ბიურო	2034	111,5	57.06.57.005	12204	2441	610	50
14.	ქ. ყვარელი, ყოფილი წყალთა სამმართველო	4814	№1-275; №2-159,25; №3-437,5	57.06.58.170	52005	10401	2601	50
15.	ქ. ყვარელი (ყოფ. სახანძრო)	1173	1) 616; 2) 83; 3) 18;	57.06.57.351	112 600	22520	5630	50
16.	ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ E320	1999	KAX 997	2000	400	100	50	50



